ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 219

15 ივნისი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვიტო-99"-ისთვის (ს/კ. 203864951) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ვიტო-99"-ისთვის (ს/კ. 203864951) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის №21.697.801 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ვიტო-99"-ისთვის (ს/კ: 203864951) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 840 (სამი ათას რვაას ორმოცი) ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე